სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
გრიგოლ თუმანიშვილის სახელობის სტიპენდიის დანიშვნის, სტიპენდიანტის
გამოვლენისა და სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“ ან ,,დაწესებულება“) პროფესორ გრიგოლ თუმანიშვილის სახელობის სტიპენდია (შემდგომში - ,,სტიპენდია“) ინიშნება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიციატივითა და შპს „გეას“ ფინანსური უზრუნველყოფით.

2. სტიპენდიის დაწესების მიზანია უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის საგანმანათლებლო მიმართულების (სპეციალობა - მორფოლოგია) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა (შემდგომ ტექსტში – ,, სტუდენტი“) წახალისება.

3. სტიპენდია ენიჭება უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის საგანმანათლებლო მიმართულების (სპეციალობა - მორფოლოგია) მაგისტრატურის ერთ სტუდენტს (საქართველოს მოქალაქე) ყოველსემესტრულად, 5 თვის ვადით.

4. სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსი ცხადდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

5. სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების წინაპირობას წარმოადგენს ერთი სემეტრის სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხის სრულად გადმორიცხვა უნივერსიტეტისათვის სტიპენდიანტისათვის შესაბამისი ოდენობის სტიპენდიის ყოველთვიურად ჩარიცხვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია გაიცემა (ინიშნება) დასაფინანსებელი სემესტრის წინა სემესტრის შედეგების საფუძველზე, შერჩევის პრინციპით.

2. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;

ბ) სტიპენდიის მიღების პერიოდში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში.

მუხლი 3. სტიპენდიანტის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატის შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია (შემდგომ ტექსტში - ,,კომისია“).

2. კომისია იქმნება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

3. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევა განხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და მორფოლოგიურ კვლევებში მონაწილეობის და აღნიშნული კვლევების შედეგების პუბლიკაციების (სამეცნიერო სტატიები და/ან სამეცნიერო კონფერენციის მასალები) ავტორობა/თანაავტორობის საფუძველზე.

4. კომისია იხელმძღვანელებს სტუდენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით.

5. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატებს უტარდებათ გასაუბრება და გადაწყვეტილება მიიღება გასაუბრების დასრულების შემდგომ.

6. წინამდებარე წესის მოთხოვნათა შესრულების მიზნით კომისია უფლებამოსილია დაადგინოს ყველა ის აუცილებელი პროცედურული საკითხი, რაც განსაზღვრული არ არის ამ წესით, ასევე მოსთხოვოს სტუდენტს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

7. ისეთ შემთხვევაში თუ შესაბამისი კანდიდატი ვერ იქნება შერჩეული, სტიპენდია არ გაიცემა და თანხა გადატანილი იქნება შემდეგ წელს.

მუხლი 4. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

1. სტიპენდიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) პროფესიული ავტობიოგრაფია;

გ) აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

დ) სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

5. ინფორმაცია სტიპენდიის მინიჭების შესახებ

1. 1 წლის სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხა სრულად ერიცხება უნივერსიტეტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება და სტიპენდიანტებისათვის შესაბამისი ოდენობის სტიპენდიის ყოველთვიური ჩარიცხვა.

2. სტიპენდია გაიცემა სემესტრულად (5 თვის განმავლობაში) 2400 ლარის ოდენობით (საშემოსავლოს გათვალისწინებით), თვეში 480 ლარის ოდენობით, შპს „გეას“ მიერ უნივერსიტეტის ანგარიშზე მიზნობრივად ჩარიცხული თანხიდან.